ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი 11 მაისი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: გიორგი ჩაჩანიძე, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ტყემალაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, დავით გოგიჩაიშვილი.

მოწვეულები: რ. ტყემალაძე, ნ. სიხარულიძე, გ. ნანავა, ვ. აბრამიშვილი, ლ. ყავლაშვილი, ალ. ჩიკვაიძე, კ. სურმავა, გ. ქვრივიშვილი, ნ. დვალიშვილი, გ. ტოკლიკიშვილი, ზ. კაპანაძე, მ. შავდია, ნ. ხოსრუაშვილი, ჭ. ჭაუსიანი, დ. ცხაკაია, ირ. ნადირაძე, გ. კოტია, თ. დიდმანიძე, გ. კეთილაძე, გ. აბულაძე, ზ. ლეკვეიშვილი, ე. ეიუბოვი, ს. ასკაროვი, ჯ. ალავიძე, მ. კენკიშვილი, დ. ნანსკანი, იფ. ჩახტაური, ლ. დევდარიანი, ნ. პროფიმოვა, გ. მჭედლიშვილი, მ. გოგიაშვილი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

39. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.010.220) ინდივიდუალური სახლის და სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის სახელოსნოს განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

40. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის დასახლებაში, I მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.07.045.012) საზოგადოებრივი ობიექტის (კვების ობიექტი) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

41. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საბურთალოს ქ. №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.17.002.006) მრავალფუნქციური ობიექტისთვის მე-7 და მე-8 ბლოკებზე სრული სართულის მქონე ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

42. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ბელინსკი/ხოშტარიას ქ. №47/17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.034.013) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

43. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, სალმის ქ. №15-ის მიმდებარედ, სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.072.112) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

44. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.361) მრავალფუნქციური ობიექტის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

45. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადაკეთების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების შემცირების შესახებ.

46. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კეკელიძის ქ. №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.054.087) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი საოფისე და კომერციული) შენობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

47. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.039.541) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

42. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ბელინსკი/ხოშტარიას ქ. №47/17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.034.013) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – გ. სანაძე. **AR144619**

დადგენილი პარამეტრები – **კ1=0,5, კ2=1,8.**
მინიჭებული პარამეტრები – **კ1=0,9, კ2=2,2, 2,4, 3,3.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ2=3,9.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ბელინსკი/ხოშტარიას ქ. №47/17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.034.013) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: **კ2=3,9.**

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

43. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, სალმის ქ. №15-ის მიმდებარედ, სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.072.112) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – გ. რამიშვილი. **AR143409**
დადგენილი პარამეტრები – **კ1=0,5.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ1=0,6.**

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

51. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, თელეთში არსებული ტერიტორიის ჩარჩო გეგმის შეთანხმების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, თელეთში არსებული ტერიტორიის ჩარჩო გეგმის შეთანხმებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე **არისი ბოჭოიძე**

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი **კახაბერ ნიაური**

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1291

„ 17 „ მაისი 2012 წ.

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ბელინსკი/ხოშტარიას ქ. №47/17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.034.013), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 11 მაისის სხდომის №18 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ბელინსკი/ხოშტარიას ქ. №47/17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.034.013), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,9.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება:ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE85LB0125152101627956.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჯ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200